განმარტებითი ბარათი

„ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ“ გაერო-ს 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენციის „ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ“ V ოქმზე

I. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტის შესახებ:

ა) პროექტის შემუშავების მიზეზები:

„ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ“ კონვენცია (CCW) არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენცია (მიღებულია ჟენევაში, 1980 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1983 წლის 2 დეკემბერს). CCW, თავის მხრივ, გაეროს 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის დამატებად მოიაზრება.

CCW, ძირითადად, ადგენს გამოყენების სფეროსა და პროცედურებს, ხოლო იმ იარაღს/მასალას, რომლის აკრძალვისა ან შეზღუდვისათვისაცაა ეს კონვენცია დანიშნული, განსაზღვრავს მისი ოქმები. დღეისთვის შემუშავებულია CCW 5 ოქმი:

- I ოქმი – „აღმოუჩენელი ნამსხვრევების შესახებ“;
- II ოქმი – „ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა მოწყობილობების აკრძალვისა ან შეზღუდვის შესახებ“;
- III ოქმი – „ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენების აკრძალვისა ან შეზღუდვის შესახებ“;
- IV ოქმი – „დამაბრმავებელი ლაზერული იარაღის შესახებ“;
- V ოქმი – „ომის ფეთქებადსამიში ნარჩენების შესახებ“.

საქართველო CCW-სა და მის I-III ოქმებს მიუერთდა 1996 წელს (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 2 აპრილის № 172 დადგენილებით), ხოლო IV ოქმს – 2005 წელს (რატიფიცირებულია საქართველო... პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის № 1932 დადგენილებით).

ამჯერად გაერო-მ მოგვმართა საქართველოს ხელისუფლებას, რათა გამოეხატოთ ჩვენი პოზიცია CCW-ს V ოქმთან მიმართებით, სახელდობრ, მივუერთდებით თუ არა მას.

შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ გაცხადებული თანხმობის საფუძველზე, მომზადდა V ოქმის ქართული თარგმანი, შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გატარების მიზნით.

ბ) პროექტის მიზნები:

V ოქმის მიზანია, შეამციროს ომის ფეთქებადი ნარჩენებით გამოწვეული კონფლიქტისშემდეგი ჰუმანიტარული პრობლემები და რისკები.

გ) პროექტის ძირითადი არსი:

V ოქმი ითვალისწინებს ხელშემკვრელი ქვეყნის ვალდებულებას, უზრუნველყოს აუფეთქებელი ან/და მიტოვებული ფეთქებადი საბრძოლო მასალების (ნაღმების, მახენაღმებისა და II ოქმით გათვალისწინებული სხვა მოწყობილობების გარდა) მონიშვნა, განაღმვა, გატანისა ან განადგურება ამ ქვეყნის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე, შეძლებისდაგვარად მალე აქტიური სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ.

ამასთან, ოქმი არ ითვალისწინებს არც ამ ვალდებულების შესრულების კონკრეტულ ვადებს (საუბარია მხოლოდ პრაქტიკულ შესაძლებლობაზე) და არც კონკრეტულ ფინანსურ ვალდებულებს (თუმცა, ცხადია, ამ ვალდებულების შესრულება – მონიშვნა, განაღმვა, გატანა, განადგურება – გარკვეულ ფინანსურ ხარჯებს გამოიწვევს).

II. პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღებასთან (რატიფიცირებასთან) დაკავშირებით სავალდებულო გახდება ომის ფეთქებად ნარჩენებთან დაკავშირებით მონიშვნის, განაღმვის, გატანა-განადგურების სამუშაოების ჩატარება, რაც განხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებული იმ წლების ბიუჯეტის ფარგლებში, რომლებშიც მოხდება შესაბამისი სამუშაოების შესრულება.

ამასთან, საყურადღებოა, რომ როგორც მონიშვნის, განაღმვის, გატანისა თუ განადგურების, ისე მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნებით, ნებადართულია სხვა ხელშემკვრელი ან არახელშემკვრელი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციისაგან (მათ შორის, გაერო-სა და წითელი ჯვრის ორგანიზაციების) დახმარების მოთხოვნა და მიღება.

ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება (რატიფიცირება) გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილზე.

გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება (რატიფიცირება) გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

პროექტის მიღება (რატიფიცირება) არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ე) პროექტის მიღების მოსალოდნელი მედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტის მიღებით (რატიფიცირებით) ხელი შეეწყება ომის ფეთქებადი ნარჩენებით გამოწვეული კონფლიქტისშემდეგი ჰუმანიტარული პრობლემებისა და რისკების შემცირებას.

ვ) **პროექტით გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებელისა ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

პროექტის არ ითვალისწინებს რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

III. პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

ა) **პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

ბ) **პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

პროექტი არ იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველ[illegible] წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეწყვეტას, წარმოშობას ან შეცვლას.

გ) **პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

პროექტის რატიფიცირება შეესაბამება საერთაშორისო ნორმებსა და პრინციპებს. შესაბამისად, იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

IV. პროექტის შემუშავების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ა) **პროექტის შემუშავების პროცესში ქართველ ექსპერტ-სპეციალისტთა მონაწილეობა:**

პროექტი განხილულ და გაანალიზებულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტების მიერ.

ბ) **პროექტის შემუშავების პროცესში უცხოელ ექსპერტ-სპეციალისტთა მონაწილეობა:**

პროექტი შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ.

გ) **პროექტის ავტორი:**

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

დ) **პროექტის ინიციატორი:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.